

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული
პირი „საზოგადოება ივერიისა“

აუდირებული ფინანსური

უწყისები

31 დეკემბერი 2016

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოება ივერიისა“ („საზოგადოება“) სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასთან („ფინანსური ანგარიშგება“) მიმართებაში საზოგადოების ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს და წმინდა აქტივების ცვლილებას ამ თარიღში დასრულებული წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა არჩეული ბუღალტრული პრინციპები გამოყენებული და არსებითი გადახრები წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საზოგადოების ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- საზოგადოებაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საზოგადოების აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2017 წლის 26 იანვარს.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ა(ა)იპ „საზოგადოება ივერიისას“ („საზოგადოება“) ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი საზოგადოების თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების („ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე ამ თარიღში დასრულებული წლის საქმიანობისა და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას, ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებასა და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.


ჩვენ ვთლით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მისი საქმიანობის შედეგებს ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში აღწერილი ბუღალტრული საფუძვლების შესაბამისად.

შპს „არესემ საქართველო“
26 იანვარი 2017

RSM Georgia




არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2016	31 დეკემბერი 2015
აქტივები			
სამშენებლო სამუშაოებისთვის გადახდილი ავანსები	3	137,780	339,459
ძირითადი საშუალებები	4	5,130	9,008
არამატერიალური აქტივები	5	15,945	24,353
სხვა მიმდინარე აქტივები		3,707	41,336
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	205,785	638,886
სულ აქტივები		368,347	1,053,042
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	7	228,185	2,289
		228,185	2,289
წმინდა აქტივები			
კუმულატიური დონორის შემოწირულობები	8	16,750,177	14,517,666
კუმულატიური საპროცენტო შემოსავალი	8	484,609	477,991
ანაზღაურებული კუმულატიური სამშენებლო დანახარჯები	8	(14,718,454)	(12,028,283)
კუმულატიური ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2,376,170)	(1,916,621)
		140,162	1,050,753
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		368,347	1,053,042

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2017 წლის 26 იანვარს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა“

საქმიანობის და წმინდა აქტივების ცვლილების ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

		2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
წმინდა აქტივების ცვლილება	შენიშვნა		
დონორთა შემოწირულობა	8	2,232,511	3,655,055
სულ შემოსავალი		2,232,511	3,655,055
ანაზღაურებული სამშენებლო სამუშაოები	8	(2,690,117)	(3,853,753)
ხელფასები		(293,358)	(319,812)
პრომოუშენი		(19,227)	(22,155)
ცვეთა და ამორტიზაცია	4, 5	(14,439)	(28,888)
პროფესიონალური მომსახურება		(5,000)	(10,558)
სხვა ხარჯები		(136,402)	(33,022)
სულ ხარჯები		(3,158,543)	(4,268,188)
წმინდა საოპერაციო აქტივების ცვლილება		(926,032)	(613,133)
საკურსო სხვაობა		8,824	45,566
საპროცენტო შემოსავალი	8	6,617	25,898
ნატურალური ფორმით სამშენებლო მასალების შემოწირულობა		-	22,221
წმინდა აქტივების ცვლილება მოგების გადასახადამდე		(910,591)	(519,448)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წმინდა აქტივების ცვლილება		(910,591)	(519,448)
წმინდა აქტივები პერიოდის დასაწყისში		1,050,753	1,570,201
წმინდა აქტივები პერიოდის ბოლოს		140,162	1,050,753

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2017 წლის 26 იანვარს.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „საზოგადოება ივერიისა“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

	2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი	2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წელი
ფულადი ნაკადები საზოგადოების ფუნქციონირებიდან:		
მიღებული დონორთა შემოწირულობა	2,241,335	3,700,621
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	6,617	25,898
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	(192,615)	(411,539)
საზოგადოების ფუნქციონირებიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	2,055,337	3,314,980
სამშენებლო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები:		
სამშენებლო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება	2,350,658	(3,310,342)
სამშენებლო სამუშაოებისთვის გადახდილი ავანსები	137,780	(339,459)
სამშენებლო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,488,438)	(3,649,801)
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა კლება	(433,101)	(334,821)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	638,886	973,707
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	205,785	638,886

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2017 წლის 26 იანვარს.